

ლიტერატურული განეთი

№23 2 - 15 აპრილი 2010

გამოშვებულის ორ კვირაში ერთხელ, აარასკორპიონ

ფასი 50 თეთრი

ბაადურ ბალარჯიშვილი

II

პაატა ნაცვლიშვილი

VIII-IX

გიგი სულაკაური

გივი ალხაზიშვილი

IV-V

ანდრო ბუაჩიძე

X-XI

XII

აკა მორჩილაძე

VI-VII

ბაადურ წულაძე

XIII





ინა არჩეუაშვილი

ՀԵՐԱԿԱՆ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ

Սյաց մօչեցնու, րոմ ճգնաց գամիմարտ-
լու ճակատագ գայլութեա ար ճամփորդե-
ծողա; Տաշարժելու հիջուղումա իրմաս և սյուլու-
լուր նոյենից ուղարկու շըշնցազութե, Շեմլեց-
օսդագարարա մոշաքառ ճա մոնասթենա ճա-
մուգամթաճա երտու եց ոսո, Չորդա Տոնդուս ո
միշնական ճա ճա, Վոտոմ ճադա իրմաս օտարու օ-
մական մոնակամա և սուրբ յու ամ անրու օ-
տագուան մոնակամա և սուրբ յու ամ անրու օ-
մական մոնակամա և սուրբ յու ամ անրու օ-

— ექიძის კატეგორიულად გაუფორთხილებია მამაშენი, არავითარ შემთხვევაში სიგარეტი არ მოაწევინოთო. ის კიდევ, უძედური, არცა ჭამდა, არცა სვამდა და მხოლოდ ეგ უნდოდა. ლაპარაკი რომ არ შეეძლო, ამოყოფდა საპირო ბეჭედს, საჩვენებელ და შუა თითებს ერთმანეთთან მიიტანდა და ისე ითხოვდა სიგარეტს. სიგარეტს რა, ბოლო დროს ყიდულობდა პრიმას, თორემ, ისე, სულ გაზრდით გახდებოდა. რუსული ხალათები ეცვა ხოლო, გვერდზე ან წინ ჩახსნებოდა სახე-ლურზე დაყრდნობილი, ერთმანეთზე ბავშვურად, საშინლად გულისამაჩუქებლად მიტყუპებული ფლოსტებში ჩაყრილი ფეხებით და მონდომებით უსმენდა გადაცემას სესლია თაყაიშვილის ცხოვრებაზე. მე კი მთელი დღის მისავათებულს ფიქრი მერჩივნა, მექანიკურად ვადევნებდი თვალს ნაწყვეტებს ცნობილი ფილმებიდან და თითქმის არ მესმოდა დროდადრო ეკრანზე გამოჩენილი მსახიობების ლაპარაკა.

ალბათ ვერასოდეს შევძლებ ბოლომ-
დე იმის ახსნას, ზოგჯერ რატომ მაღიზ-
იანებდა და თან მეცოდებოდა ასე
თავისთვის, მორჩილად მჯდარი დედაქე-
მი; რატომ ვთვლიდი მის წინაშე თავს დამ-
ნაშავედ, რატომ მივყავდი ისტერიკამდე
მის თითქმის ასკეტურ ცხოვრებას და მშ-
ვიდ, ხშირ შემთხვევაში მორცხვობით
გამოწვეულ ქცევებს, რომლებიც მხ-
ოლოდ მოწესრიგებულ ჯდომამი არ გამ-
ოხატებოდა. ასეთი იყო, მაგალითად,
ლაპარაკის დროს სადღაც, გაურკვეველი
მიმართულებით ქცერა, სარკეში ჩახედვის
გარეშე თმის დაგარცხნა, ხორციანი სადი-
ლის უხორცოდ ჭამა, საწოლში უხერხუ-
ლი, მოკუნტული წოლა, და ჩემი ნერვები-
სთვის ყველაზე მეტად გაუსაძლისი, აუ-
ტანელი ტკივილების უსიტყვოდ მოთმე-
ნა, რასაც სულ შემთხვევით, დიდხანს ნა-
გროვები, ამოხეთქილა კვნესით ვიგებდი
ხოლმე. დედაქემს რომ ვერაფერს ვეუბ-
ნებოდი, უცებ გიჟივით წამოვხტებოდი ამ
უცნაური გრძნობისგან ერთიანად აცახ-
ცახებული, ცოტა ხნით ვევრდით ოთახში,
სამზარეულოში ან სააბაზანოში შე-
ვიკეტებოდი და იქ ვწყნარდებოდ. მქონ-
და დამშვიდების კიდევ ერთი ხერხი: თუ
თავს ხელში ავიყვანდი და არსად გავიქ-
ცეოდი, დედაქემს ვთხოვდი, ჩვენი ოჯახ-
ის ძევლი ამბები მოეყოლა, რაც ძალიან
მშველოდა და დადებითად მოქმედებდა
ჩემს აშლილ ფსიქიკაზე. ამჯერადაც
სწორედ ამის თქმას ვაპირებდი, რომ დე-
დაქემმა იქით დამასწრო:

— არ უსმენ, არა მაქვს მოყოლილი, საწყალი პაპაშენიც ხო ამ დღეში იყო? — მითხრა და მთელი ტანით შემობრუნდა ჩემსკენ ისე, რომ ფეხები ერთმანეთის თვეს არ მოუშორებია. ჩემი გამონაცვალი, ნაქსოვი ბოლოკაბა გულმოდგინედ გადაიჭიმა მუხლისთავებზე და მშვიდად დაელო-
— ან იკო ბაბო ძალიან ახალგაზრდა იყო, არა? — ორმოცდახუთის, — ჯერ დასრულებული არ მქონდა კითხვა, რომ უცემ მომიტრა დედაჩემმა, თითქოს არ ესიამოვნა მამაჩემზე რომ შევანყვეტინე ლაპარაკი.

და პასუხს.
— არ ვიცი, რა დღეში? — ვერ მივხვდი უცებ, რას მეკოთხებოდა.
— აი, როგორც სესილია ითხოვდა თურმე სიკვდილის წინ სიგარეტს, საწყალი პაპაშენიც ესე ყოფილა. მამაშენმა თელავიდან რომ ჩამოიყანა ოპერაციის შემდეგ, უკვე ძალიან მიმედე იყო. წინა ოთახში დააწვინა ტახტზე და იქიდან აღარც ამდგარა. თქვენ არ გემასხვორებათ მაგ ოთახის ამოშენება, პატარები იყავით. სულ თვითონ უვლიდა, მე ახლოს არ გამაკარა. მთელი დღეები თავთან ეჯდა და პატარა ბალივით ბოთლიდან ძალით აჭმევდა საჭმელს. ზაფხული იყო და ცოტა ხნით მარლას რომ გადახდიდა სახეზე, მსხვილ-ფოთოლა ფურცლის ტოტებით უნიავებდა, ბუზებს რომ არ შეენუხებინა.

— იმდენ რამეს ყვებით ამ ბაბოჩემის სიკვდილზე, რომ ვეღარ გავიგე ბოლოს რითი მოკვდა ეს ქალი, — აღარ დავიხიე მეც უკან.

— თქვენ სად გემახსოვრებათ, პატარები იყავით, — პატუბაც არ გაუკეთებია, ისე განაგრძო ლაპარაკი. საუბრის დროს რატომლაც სულ ასე, მრავლობითში მოგემართავდა მეც და ჩემს და-იმასაც, — ჩენი უბრის თავში, სკოლასთან, საცხენის გზიდან რომ გადმოუხვევთ, ღლონ-ტები ცხოვრობდენ. მერე გაიყიდა ეგ სახლი. ახლა აღარც ვიცი ვისია. ბაბოშენი სხვანაირი, ვაყვაცური ქალი იყო, თან — თბილი. ყველასთან შეეძლო საერთო ენის გამონახვა და ორივე სოფელში, საცხენებშიც და ჩვენთანაც, ყველას ახლოს იცნობ-

და. ალბათ იმას ჰერცოგინია, გულ-ლია და ურთიერთობების მოყვარული.

მამაჩემის სიკვდილის შემდეგ დედა-
ჩემი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ მასზე რამე კარგი ეთქვა. სიცოცხ-
ლეში კითავისი მორცხვობისა და მოკრძა-
ლებულობის გამო, მისგან ქმრის საამე-
ბლად ნათქვამი ერთი საალერსო სიტყვაც
არ გამიგია; მამაჩემის მკერდზე მიყრდ-
ნობილიც კი არასოდეს გვინახავს
შეიღებს. — ჰოდა, — გააგრძელა დე-
დაჩემმა, — მე პაპაშენისგან ვიცი, რომ იმ
ნელინადა უბნის ქალებს სარვამარტოდ ამ
ღლონტებში უქეიფიათ და ბაბოშენიც
დაუპატიჟებიათ. იქ უცეკვია სანწყალს,
კინტაურით თუ, რა ცეკვაა, თავსაფარს რომ
დააგდებენ და მერე პირით იღებენ... მსუ-
ქანი, ბოცბორცა ქალი არ იყო ბაბოშენი და,
რომ დახრილა, ეს მოსახვევი კი აუღია,
მაგრამ თან ჩასწყვეტია კიდეც მუცელში
რაღაც. ეს ვიცი თვითონ პაპაშენისგან, —
დაამატა შეტი დამაჯერებლობისთვის
კიდევ ერთხელ.

— აბა, აკი ძროხამ ამოუტია და მერე
ის გაულიზიანდაო? — გადავამოწმე რომე-
ლილაც ნათესავისგან მოსმენილი ვერსია.

— არ ვიცი, ჩევნი მეზობლის ქალები
იმასაც ამბობდნენ, უფრო სწორად,
ბასილაანთ ნატაშა მეტყოდა ხოლმე,
რომ, ხომ გითხარი, ვაჟუაცური ქალი
იყო-მეთქი ბაბოშენი, რუსთავში ორ-
მოცდათკილოიანი ბალნებით
თაფლი მარტოს ჩაპქონდა თურმე
გასყიდად და, ერთხელ, დიდი მან-
ქანიდან ჩამოლებისას, ვითომ ბალო-
ნი დასცემია საწყალს მუცელზე.
მერე კი, ის მოურჩენელი იქიდან გას-
ჩენია.

— შენი მიყვანიდან მალე მოკვდა? — ჰო, ნანი მყავდა უკვე ერთი წლის და შენზე ფეხმძიმედ ვიყავი.

ჩევენ როგორც რძალ-დედამთილმა, ვერც მოვასწარით ერთმანეთის კარგად გაცნობა. როდის, აბა, ის ხო ამ სახლში არ ცხოვრობდა, თან უკვე ავად იყო და ვიღას ეცალა რძალდედამთილური ურთიერთობებისათვის? — დიასახლისი კი, ხო გაგიგია ბაბოშენზე რომ ამბობენ, მართლა უნაკლო იყო. მეც მოეცსნარი მისი გამომცხვარ პასკას; ბაბოშენის რეცეპტს დღემდე იყენებს მთელი თქვენი საგვარეულო. იმ რეცეპტით ვაცხობდი ხოლმე მერე მეც, ჩევენებიც. შენ და დათას არა, მაგრამ ნანოს შეხვდა მისი ნახელავი; რომ დაიბადა, სწორედ იმ წელინადს პასკის ორცხობილა ზამთრამდე მიგვყვა და თვეებისას ჩაიში ჩაფიხვნილს ვაჭმევდი.

სახლი რომ ახევნა, ლიმილი ვერ შე-
ვიკავე. მივცხდი, რომ წარმოდგენით ის
ახლა სოფელში იყო, ჩვენს გამოკეტილ
სახლში, საიდანაც მისთვის სამყაროს ათვ-

ლის წერტილი იწყებოდა; სადაც მამაჩემ-
მა ცხრამეტი წლის გოგო მიიყვანა და
უთხრა, აი, აქ იცხოვრებ, ნელი, დღეიდან
შენი კერა ეს იქნებათ. და დედაჩემსაც, ამ
სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით,

თითქმის არასოდეს მოუცვლია ფეხი
სახლიდან, თუ არ ჩაგოვლით მამაჩემის
სიკედილის შემდეგ ზამთრობით ქალაქში
ჩამოსვლას. — რაზე ჩაგელიმა, — მკითხა
ცოტა გაკვირვებულმა, მაგრამ აღარ ჩამძ-
იებია, ისე გააგრძელა, — ის სურათი ხო
გახსოვს, მამაშენი ბაბოშენთან ხელგადა-
ხვეული რომ დგას საცხენის ეზოში? —
სიკედილამდე ორი-სამი წლით ადრეა გა-
დალებული. მთლად ახალგაზრდა წავიდა.
როგორ უყვარდა მამაშენს... და გამოხატ-
ვაც შეექლო. თქვენ სადა ხართ ესეთი
თბილები... ან დათა, — დააკონკრეტა
უთრო.

მიუჟედავად იმისა, რომ ასეთი გადახე-
ვევისტვის მზად არ ვიყავი, ნათქვამი
სასწრაფოდ გავიაზრე და საკმაოდ უხე-
შად მივახალე:

— ვისი ბრალია მერე, როგორებიც
გაგზარდე, ისეთები ვართ...

— რამ გაგაცხარა, სანყენად არ მითქ-
ვამს, შვილო, — მითხრა დამნაშავე ბავშ-
ვივით და ამ შვილოთი გამანადგურა. აი,
დედაჩემის კიდევ ერთი იმ თვისებათა-

განი, რომელიც წელან ზემოთ ჩამოვთვალე. ვერ ნარმომედგინა, რომ ასეთ დროს ადამიანს დათმობა და უკან დახევა შეეძლო. მაგრამ ახლა მართლა არ გავლი-ზიანებულვარ და რადგან სინდისი სუფ-თა მქონდა, თამამად შემეძლო მეთხოვა, რომ მოყოლა არ შეეწყვიტა. თუმცა, დე-დაჩემდა ეს ჩემი თხოვნის გარეშეც გააკე-თა.

— სოფელში ბაბოშენს გიორგი ექიმი
მკურნალობდა. პირველად იმან უთხა,
ოპერაციას აზრი არა აქვსო. მამაშენმა
მანიც არ დაიშალა და თბილისში წაყვა-
ნა. იქ კი გაუჭრიათ, მაგრამ მაშინვე დაუხ-
ურიათ — იგივე უთქვამთ. სწორედ იმ
დროს, მამიდაშენმა მეორედ მოიტეხა
კისერი — იმ გაუბედურებულ, შვილიან
კაცს გაჟყვა ცოლად; მე მუცელი თავზე
მქონდა მოქცეული; უფროსი რძლები
ცოტა ნაწყენები იყვნენ დედამთილზე, ქმ-
რებიც გადაბირებულებვითა ჰყავდათ
დაძალაუნებურად, ესეც, ძირითადად,
ისევ მამაშენის საპატრონო გახდა. ამას
კიდევ, ამ საწყალს, პაპაშენთან ხო სიგა-
რეტი გაუხდა სანახებელი, აქ სიზმარი
ნახა: დათვის სოკო ხო გაგიგია — ერთი
იქმება, მეორე — არა, შესმიანია. ვიღა-
ცას ძილში უსწავლებია, შესმიანი რომელ-
იც არის, მაგრად დანაყე და წვენი ზედ
ჭრილობაზე დააწურეო.

— მერე, არ გააკეთა, ხო კარგად იცოდა სოკობის ცნობა? — ვკითხე რაღაც ნაირი, სასოწარკვეთილი ხმით.



— არა, შეეშინდა, ვერ გაბედა, — ხმა
აუთორთოლდა დედაჩემსაც. თვითონაც
ძალიან ნანობდა მერე, თავს იკლავდა,
ბალლივითა ღრიალებდა ხოლმე ნასვამი.
ვითომ ხომ მაგარი იყო, ძლიერი, ჯანმრთე-
ლი. ჩეუბშიც ისე გადაეშვებოდა ხოლმე
თავით, არც დაფიქრდებოდა, მაგრამ ასე-
თი რაღაცების — სიზმრების, წყევლის,
მკითხავების ძალიან ეშინოდა. არადა, შემ-
თხვევითობა ზოგჯერ მართლა ცვლის ად-
ამიანის ცხოვრებას. ვინ იცის, იქნებ სწო-
რედ ეს სიზმარი იყო მთელი ოჯახის გა-
დარჩენის იმედი; იქნებ ბაბოშენს რომ ეც-
ოცხლა, არც საწყალი ბიძათქვენები დალ-
უპულიყვნენ ასე უბრალოდ, მამაშენის ბე-
დიც სხვანაირად შემობრუნებულიყო და
ნახევარი ცხოვრება მკვდრების მარხვაში
არ გაეტარებინა — თუმცა, ბაბოშენი მაინც
ბეჭდიერი ქალი ყოფილა — ისე წავიდა
იმქევეყნად, რომ შვილების სიკვდილს არ
შესწრებია.

— ან ახლა რაღა დროს ამეებზე ლა-
პარა და არ გადასახლო და არ გადასახლო

ପାର୍କାଙ୍ଗୀ, ଏବଂ ଶେଷିତି ରାଶ ଗାନ୍ଧିଶ୍ଵରେ ଥିଲୁଛେ ବ୍ୟା-
ରାମାର୍ଥା ଓ ମାଧୁମଳ୍ଲେପ୍ତି — ମର୍ମାଲାଦେଖାନ୍ତାରେ
ପ୍ରତ୍ଯାମନିକାରୀ ହେଲାନ୍ତିରୁଥିଲା, ତାତକେଣ ଉତ୍ତରନ
ହେଲାନ୍ତି ଗାନ୍ଧାରାଗନ୍ଧାରି ଏବଂ ଏକାରା, ତାତକେଣ ହେଲାନ୍ତି

အပာရာကျ လွှေစာမ်း နှင့် အပာရာကျ လွှေစာမ်း တို့၏ အခြေခံ အဆင့် မြတ်ဆုံး ဖြစ်ပါသည်။

რადგან კარგად ვიცნობდი მის ხასიათს, გაგრძელება აღარ მითხვია, არა-და, კიდევ მინდონდა რაღაცების დაზუსტება და კითხვა. რაღას ვიზამდი, სავარძელზე ფეხები მიხერხებულად შემოვიყეცე, საზურგეს ოდნავ გვერდულად მივეყრდნი და ბედს შეგუებულმა, ახლა უკვე ფიქრით, შედარებით ახლო წარსულში, მამაჩრდინა გადავინაცვლე. სამწუხაროდ, ის ერთადერთი იყო ჩემი გვარის უახლოესი გარდაცვლილი ნათესავებიდან, ვისთანაც მეგზური და შუამავალი არ მტკირდებოდა.

დასასრული მე-7 გვერდზე

გივი ალხაზიშვილი

ჩაბრუნებული მზერა
/თებერვლის ეპისტოლე/

...იმ ქალს რა უნდა,
ფანჯრიდან რომ გიყურებს?
ათი წელია აქ არ არის
და როგორ გიყურებს...
სად მიგაცილებს მისი მზერა?!

.....
ივ შები ბინდით,
შეგატოვეს ღამის წვეთოვანს,
თოვლია შენში და შენ ფიქრობ:
შესაძლოა, ტანჯულ თვალებს ჩამოეთოვა
ამ მთავრობზე და არა ზეცას,
ამინდის ნაცვლად მტკიცნეული ჟამი ფეიქრობს,
გადაათეთრა შენი თვალები
და პორიზონტის ყულფი შეიკრა....

ხვალამდე დროა,
ელოდები სისხლნაკლულ დონორს —
იანგრის მზეს და ეფიცები წუთს მოსალოდნელს,
უღიმი მედდას,
ჩალურჯებულ ვენას უჩენებ,
როგორც მკლავზე ამოსულ იას
და გიხარია, დღეს რომ ტკივილს გაგიყუჩებენ.

რა საგრძნობია, რომ აქ ვიღაც დადის უჩუმრად
და შორი—ახლო ისევ ეთრევა,
სწორედ აქ, სადაც სიყვარულია
და რაც გასავლელ დღებს გამსჭვალავს
ტკივილის მზეა,
შიშის ხმა და სიმკვეთრეა.

ვერ იმაღლები ვერც სიტყვაში და ვერც დუმილში,
აღარც ღიმილში დარჩენილა შენი ადგილი,
აღარც ხმაში
და თუ მიაღწევ მხოლოდ კვნესამდე,
და მთელი ღამე ისე გმარცვლავს ნამოკვნები,
თითქოს სსოვნაში ატკივებულ წუთებს თესავდე.

უცნობი ხედი ფანჯრებიდან და უცაბედი
ფიქრის სიმწარე,
თავის დახმარა და არიდება
თვალის, რომელიც კარგავს დასაყრდენს
და ჩაბრუნდება თავის სილრმეში,
რომ თავდაპირველ ბინდში დასახლდე.

ჩარის ხსოვნა

...ხოლო ის, თავის არსებობა რომ შემახსენოს,
გამიმეორებს: — აქ აღარა ვარ...

რა უნდოდა?!

ღამეც არ ჰყოფნის დასამალავად,
დღე — საარსებოდ.

ხსოვნაა მისი აქ ყოფნის მოწმე,
არ გამოდგება რადგან ხსოვნა ყოფნის ალიბად,
თურმე აქ იყო და ვერ ვისენებ,
ვერც ის მიხსენებს და მეტრალება, —
მივწერებასა და ხსოვნას შორის
ჩარჩენილ დროში რომ მიმაცილებს
ადგილანცვალი ორიენტირი?!

შენ ეძებ სიტყვას პირვანდელ ნიშნით

და არა ლამაზ ორნამენტივით.

სტუმრად ხარ შინ და
იქსოვ სიჩუმეს,
დროის სიმღერეს გულში იგუბებ
და წასასვლელად ყოველთვის მზად ხარ
და აბრეშუმის ჭიასავით შენი ფუსფუსი
სულ ფურცელ—ფურცელ ააშრიალებს
სიბრელეს, სადაც კრთება ფოსფორი —
როგორც საფლავზე ხსოვნის ნიშანი.

ფანჯრის რაფაზე შიშველმელავებჩამიყრდნობილი
ფიქრობ, რომ დედის კალთას გაგონებს,
ეს ხელისგული, სადაც თავს ჩარგავ
და თვლემის ფრთხებეშ იკრებ სამყაროს,
სადაც გამჭოლად ხედავ სიზმარ—ცხადს
და ბროლის ჭრილში იჩეკება ფარშავანგები.

ეს ერთადერთი სურათია ამ ყოფასთან რომ გაკავშირებს
—
დედა, ოდნავ მოხრილ თითებით
როგორ გინვლიდა ჰაერის ყვავილს.

შენი სტუმრობით დაიღალნენ შინ და გარეთაც...

აკრეფილია აკად — ნუსხურში
შენი ტექსტი აპოკრიფული
და როცა წახვალ ფეხაკრეფით
შენს აკრეფილ ნაბიჯებსაც დაიხსომებენ
ძველი ქარები, კაფეები და კულისები...

ქარი სულია, არავინ იცის, საიდან მოდის ან საით მიდის
და ქარის ხსოვნა შეგიფარებს უკუნისამდე.

ნუსხა, ჩვენით რომ ივსება...

„ჩვენც დავნებდეთ სიყვარულს“...
ვერგილიუსი

ვსვამ შენს თვალებს,
ხმასაც,
ფრენის წუთს რომ იხანგრძლივებ წამლერებისას...
სიყვარული კი ეხსლება თავის ვიწროებს
და ყოველ ჯერზე ახალია..

პოულობს სხივი ჭუჭრუტანას...

მგონი მზეც კი ვერ შეედრება იმ წუთს,
ჩვენით რომ ივსება,
და ძარღვებში სიმღერით დადის.

... და ყოველ ჯერზე ახალია...

პურის სუნი

სიცოცხლის შენის დარაჯს უერთგულესა
და მინის ბორცვზე ფუსფუსს ხოჭოების —
დააკვირდები, როგორ გაჰყავთ დრო,
თითქოს რომ არის.

შენ ზურგს შეაქცევ მშიშარა ფიქრს,
მოჩენებითად სიბილურ გუმანს
და მთებს გახედავ, ისევ რომ სდუმან,
რადგან სიმაღლით ყველაფერი თქვეს.

გაგედიმება, რომ ბავშვობას იზოგავ დღემდე,
რაბმანინოვის მეორე კონცერტს რომ უსმენ ახლაც..
შენ იქით გინდა, სადაც მუსიკა იძაფება,
როცა ყოველი შესრულებისას ივსები ფრთებით
და გეშინა, რომ გაფრინდე
და შენს ბუდეს გადაუფრინო,
საითაც თვალიც არ გაგექცევა.

:) პაუზა და მერე ნაპიჯი, ნაპიჯი, რიტმის მოდინება
და გამჭვირვალებით შეკრთხება ოთახში ყოველი საგანი
და რაღაც ღრმავდება, ღრმავდება ჭასავით
შენში და სიტყვაში და წუთსაც ირეკლავს,
რომელიც ხან მოჩანს და ხან იმაღლება
ბეგრძან ბეგრძანდე და ზოგჯერ პაუზა
ჩვენც გვაუჩინარებს და ყიდულისხმებით
იმ ბზარში, რომელიც ჟამმა ამოქოლა,
წიგნი გადაფურცლა, მერე სანიშნებლად
სხივი ჩააფინა და სხვათა ქოქოლას
ყური არ ათხოვა.

გადავრჩი, გადავრჩი... თვალებით ნათქვამი
და შენი პორტრეტი ხსოვნაში გადარჩია,
ხანდახან ცხოვრებას ვაგრძელებ დადარში,
ვინვი და ვცოცხლდები და ბოლო არა ჩანს,
ისე შეუმჩნევლად გავდივარ ფანჯრიდან,
ჩემან და შენგანც და ყოველივებან
და ბაშვი, დღესავით რომ ნამოიჩიტა,
შემომჩინა ხილულ და ერთადერთ იმედად.

სიჩუმეს შენი გული უცემს და ისიც გისმენს,
ბავშვობიდან ასე გრძელდება,
ვიღებას უცდე, მორი—ახლოს რომ გაგულება,
ვიღაც მის განვდენს საიქინდან
და შენ ქვავდები და ქვასაც შენი გული უცემს —
შენ რომ მოგესმა და სხვას არავის,
სიტყვასაც შენი გული უცემს
და მიუყები ღამის ხნულს და იმავეს თესავ,
რასაც მრავალი წელია იმკი.

მომენატრები, მაშინაც კი, როცა აქვე ხარ
და მეშინა, რომ გაფრინდე სადმე ჩიტივით,
მომენატრება შენი ხელის მჩატე შეტება
და შიშის შიში და ეს ფიქრი — შიშის ჩითილი —
თვალებში აჩენს უფერულ ფოთლებს...
და ქვასაც შენი გული უცემს...

დილას აღვიძებს პურის სუნი,
სიცოცხლის სუნი
და ხსოვნა წელება ყველა მომენტ
და კალობა ბრუნავს სისხლში
და ეს დღია, ჩამომხდარი დროის კერიდან,
კურდლელაურის ყანებისკენ თვალს გააპარებს.

დედულეთის მონატრება მავსებს და მცდის —
მესიერება თუ კიდევ შემრჩა
და პურის ნატებს ვაწებ ღვინოში.

გამზეურებულ სათიბებიდან ბრუნდება პაპა,
ხოლო ბებია გაფუებულ ცომს დასტრიალებს.

ის დარჩა ძმებზე მოტირალი,
მდუღარე ცრემლით ორთავ თვალის ამომკალავი,
დგას მისი ლანდი ჩემში, როგორც დარდის კარავი.
ეს არ არის ფოტო—ასლი,
ორიგინალში მეც იქ ვიყავ, მაგრამ არ ვჩანვარ,
რადგან ისინი ჩარჩენ ჩემში
და სურათი არის ჩემში და მე ჩარჩო ვარ.

დილას აღვიძებს პურის სუნი,
არსობის სუნი..



ეს დღე სად გაძრა?!

სად გაქრა ეს დღე,
შენს თვალებში რომ დავინახე?!

გეფიცები წითელ გეორგინებს, ხავერდის ვარდებს
და საფლავზე ანწლის სიცალეს,
ყველაფერს, რაც კი ბავშვობიდან არის ჩემში,
როგორც დახურულ გალერეაში
და დროდადრო სიტყვებში ჩნდება
საურმე გზა და პურის ყანა, სადაც მზე ჩადის....

გეფიცები ბებერ ყორანს,
ზოგჯერ აუხსენელ ხმებს რომ გამოსცემს,
ხავსიც სიცოცხლის ნიშანია
და ქვები სათქმელს ამბობენ ხავსით...

გეფიცები ბებერ ყორანს,
ახლა რომ თავზე გადამიფრინა
და საღამო შემოჰყავა ფრთებით,
აღბათ, ხედავდა პაპაჩემიც
ასი წლის წინათ.

გეფიცები აბლაბუდას, სხივებით ნაქსოვა,
თვალინ რომ ბრწყინვას
და იშ წყაროს, რომ დაიკარგა,
მაგრა ხმა მანინც დარჩა
და ვენაფები ხსოვნის წყაროს
და წყურვილს ვიკლავ....

გეფიცები ქვევრის დუმილს,
პაპაჩემი რომ ხსნდა სარქველს,
მერე აყალოს ხელს შეავლებდა
და ქლივს ვარჩევდი ერთმანეთისგან
ხელს და აყალოს.

გეფიცები ხილვის ფრაგმენტს,
როცა გამჭოლად დავინახე ლვინის ლივლივი
ყველა ქვევრსა და

ნიგნიდან „ქალები და ქალ(აქ)ები“

როცა ვხედავ, როგორ იშრობს
გუმბათების სელ ძუძუებს
დღის მზეზე ვერცია,
მავინდება, რომ ამქვეყნად
პარიზიც და ლონდონიც და
რომიცა და ვენაცია!

2000

გალაკტიონის ეპათა ქაბა
მცხეთის ჯვარს
ნიგნიდან „რიმეიქები“

მაქვს მკერდს მიდებული
როგორც მინდა, ქნარი,
ჩემთვის დიდებული
გამობრწყინდა მთვარე.
მკვიდრად ააშენა,
ვინაც ააშენა
და ცით დაამშენა
ჯვარი - მცხეთის ჯვარი.

დამკარგავი გზებით
გრძნეულ ჩუქურთმებით,
დამქარგავი გზებით
ნაზი შუქურთმებით,
ნეტა ვინ აზიდა,
ან როდის აზიდა,
ან როგორ აზიდა
ზეცად მცხეთის ჯვარი.

რა განძი გვქონია,
რა მდიდარი, რა მხნე,
ულერს ქვის ჰარმონია
ერთხელ, ორხელ, სამხელ.
კარგად გამოჰკვეთა,
ვინაც გამოჰკვეთა,
ნალდი ოქროს კვეთა -
დიდი მცხეთის ჯვარი.

აქ რომ სვეტებია,
შეკონება თაღთა,
გამარეტებია
დამარჩენი სახტად.
ნეტა ვინ ააგო,
რა ნიჭმა ააგო,
რა მადლმა ააგო
სვეტი - მცხეთის ჯვარი!

სარკმელთ დიადემა
გრძნობ, რა დიადია,
სული გამდება,
გული ზვიადია.
ნეტა ვინ აანთო,
რა გრძნობით აანთო,
ნლებს როგორ გაანდო
საიდუმლო: ჯვარი!

მოქნილი და მკვეთრი
დასრულება ხაზთა
არის თეთრზე თეთრი
შურის გრძნობის განცდა.
ეს ის სიმკვეთეა,
ეს ის სითეთრეა,
რითაც მდიდარია
ძეგლი - მცხეთის ჯვარი!

ქართულია მზერა,
სივრცე მხრებს შლის მთებით,
მთვარე რაა, მზე - რა...
ფასკუნჯების ფრთები,
არწივების ფრთები,
ფრთები, ფრთები გვინდა:
კიდევ ფრთები გვინდა:
გვიხმობს მცხეთის ჯვარი!

როგორც მინდა, ქნარი
მაქვს მკერდს მიდებული,
ჩემთვის გამობრწყინდა
სხივი დიდებული.
მე ვარ მთანმინდელი,
მე ვარ დიდუბელი,
ხელზე დადებული
მომაქვს მცხეთის ჯვარი.

1977

1970. თსუ. გამოცდა ლუსული ლიტერატურის ისტორიაში
პროფ. ოთარ ბაქანიძეს

რა გამამწარე
ლომონოსოვით,
რო გამომწურე
ლიმონისავით...

1970

ნიგნიდან „მოციმციმე არითმია“

გინდა ცხენზე შეჯექი, გინდა ეტლში ჩაჯექი, ვერსად ნახვალ! ქიშ!
ედვარდი ხარ - ვარდი ხარ, ვარდი ხარ - ვარდი ხარ, ქიშვარდი ხარ - ქიშ!
თამაში ბერ პარტიას ჩარლი სპენსერ ჩაპლინ და ეგონ ერვინ კაშ!
მაშინ მიღირს ფუნთუშა, თუა შიგნით ქიშმიში შემაღლული, ქიშ...
ლამის თავზე დაგვემხოს გიშ-ქურმუხის ტაძარი, გიშ-ქურმუხის, გიშ...
გიშრისფერი თვალ-წარბი, გიშრისფერი თმა-წერი, გიშრისფერი, გიშ...
ქართველისა ვინა სთქვა სვლების გათვლა ნინასნარ, გიშ-ვრაცუა, გიშ...
ეს მუდმივი ქიშია, ვერსად დაემაღები, ქიში, გიშო, ქიშ!

1995

ჟადრაკის ფიგურების სიმღერა
ნიგნიდან „სპორტლექსები“

ავიშვიშდა კარპოვი, ავიშვიშდა კრამნიკი,
კასპაროვიც... ვიშ!...
ვიშვანათჲან ანანდი ჩემპიონი გაგვიხდა,
ვიშვანათჲან... ვიშ!...
მადლობა ღმერთს, იმ ქვეყნის კაციც გაჩემპიონდა,
სადაც ვიშვით, ვიშ!...
ვიშ, რა კარგი რამ მოხდა! რა ნათელი რამ მოხდა!
რა მართალი, ვიშ!

2000

ნიგნიდან „ქალები და ქალ(აქ)ები“

ვლადიმირის სამხრეთ ფლანგზე რუსთა ვლადიკავკაზია,
ვლადიმირის აღმოსავლით კი - ვლადივოსტოკიო...
რუსეთისგან ხვალ ისევე შორს იქნება კავკასია,
როგორც არის დღესდღეობით რუსეთისთვის ტრკიო!

1992



მორის ეშერი. ბელვედერი

მარი გველესიანი

გაღურები

ისმის კაუნი,
თითქოს ვიღაც ბეჭდავს სტრიქონებს,
დამგვანებია დათოვლილი ქალაქი შაქარს...
საჩუმე იყოს,
არ დააფრთხოთ ეს სილამაზე -
ფანჯრის რაფაზე
ბელურები კუნკავენ ზამთარს!..

მემკვიდრევ ჩემო, დღემდე ვაცოცხლე
ჭირით თუ ლხინით თვალდანმული -
უნდა ჩამოვსხია და ჩაგაბარო
ჯვარზე გაკრული ჩემი მამული!

ამ ზეცას უნდა, ვიდრე იწვიმებს,
მიმდინ ნისლები თავზე მეხუროს,
ვიდრე ღვართქაფად ჩამოიქცევა,
მინის პირამდე მისაფეხუროს
და ვიდრე ქეყუნად ჩამოლვრილ სევდას
ორთქლად წამოკრეფს სხივი-პოეტი,
მე კოლოების ვიოლინოთი
მილამაზდება სალამოები...

უდა შევიგუდო შინ...

ნისლად ჩამონილი ზეცას
ვიღაც დამდგარა და სცრის,
გაზაფულ-ზაფულით ნაქარგს
ვიღაც ქარვის ფოთლებს გვის...
უცებ ჩამოთოვა მთები,
უცებ მოილა შინდი!
უნდა შევიკეცო ფრთები,
უნდა შევიბუდო შინ... და
უნდა მივბარო სული
ფარდაგზე დაეიდულ ხმალს -
დაცლილ, მიძინებულ ჩანთას
შერჩა მატარებლის სუნი,
მოაქს მატარებლის ხმა...

როგორ უსიზმროდ მეპინა!..

ძილო, ეგრე რად გამწირე,
სიკვდილს მმეცი მეტწილად...
ვაიმე, ხომ არ დავწყნარდი,
როგორ უსიზმროდ მეპინა?!
ძილო, განა რად შეგშურდა,
ტირილის დროსაც მეცინა,
ვაიმე, ხომ არ დავბერდი,
როგორ უსიზმროდ მეპინა?!
წინათ, ძილსა თუ ლვიძილში
დარდიც ფერადი მეფინა,
ვაიმე, ხომ არ დავმთავრდი,
როგორ უსიზმროდ მეპინა?!

სხა შინაგანი

როდესაც გტანჯავს ხმა შინაგანი -
შეიცნ, თავი შენი შეიცნ!
საუთარ სხეულს განეშორები
და სულს მტრედივით მხარზე შეისვამ,
დაბლა დარჩება სულს ჭურჭელი
და მიწირი გვემით გათელილს
გადაგეხსნება ზეცის საუფლო,
ნათელი - ნათელ სულთა ნათელი!..

დავრჩებით...

შენ რომ იმღერებ და
მე რომ ლექსებს დავწერ,
ის დაგვასატავს და
დავრჩებით!
ქალნა მშევნეონი, ტანმონარნარენი
ფერს დაიმშევნებენ ფარჩებით...
შენ ვაზზე გამენება,
მე ვარდებს ვახარებ,
ის პურს მოიყვანს და
დავრჩებით!
ტყე აშრიალდება, მთები გაივსება
შველებით, ირმებით და არჩევებით...
შენ თუ გეყვარები,
მე თუ მეყვარები,
სახლი განათდება ბავშვებით,
შენ ტაძრებს ააგებ,
მე კედლებს მოვხატავ,
ჩენ სანთლებს დავანთებთ და -
დავრჩებით!..

ლი არსებით ვგრძნობ მის სიახლოესს. ჩე-
მამდე მხოლოდ ტალღების დაგაფუნი კი
არ აღწევს, არამედ აღწევს ის უცნაური
ბეჭერები, რომელსაც ზღვა ყოველწამი-
ერად გამოსცემს. ის ცოცხალი არსე-
ბასავით არის, მოძრაობს და ფშვინავს,
ღამეულ ხმებს აპნევს სანაბიროზე. ზღვა
ახლა ღამის და დღის მიჯნაზე დგას და
ქამელეონივით იცვლის ფერს. ოთახის
კედელზე სინითლე ირეკლება და მეც
ნიონ-ნია მიხტაჭა თვალი.

გათენებისას ისევ მზეა და ლურჯი ზღვა. კატერები და მოტოციკლები ისევ თავგამეტებით სერავენ ტალღებს. მე ისევ ვფიქრობ იმას, რასაც აქამდე ვფიქრობ-დი: ეს ადამიანები ალპათ არასდროს არ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, რომ არ ყოფილიყო ამქვეყნად ზღვა. განვლილი ღამე სერვისის მიერ გადასაც არ მოგვიალდა. ისევ ზღვის კიდე გავყურებ და გული მერუება, ვგრძნობ რომ ზაზა ალარც იქ არის. მქრქალ ჰორიზონტზე პატარა გემი ჩნდება, რომელიც ნელა მიცურავს ბათუმის პორტისაკენ... ამ საბამოსაც სანაპიროზე გამშლილ ჭილობზე ვსხედვართ და გავყურებთ ბა

ბარის სადილობების მეტვის ზე დაფენილ ჭილობზე ვწვები და ვფიქრობ: ეს ადამი-ანები არასდროს არ შეხვდებოდნენ ერთ-მანეთს, რომ არ ყოფილიყო ზღვა, თუმცა ისინი ერთმანეთის მიმართ საკმაოდ გულ-გრილი არიან. ისინი ათვალიერებენ ერთმანეთს, მაგრამ ეს თვალიერება ცივი ცნობის მოყვარეობის ფარგლებს არ სცილდება.

საბუადევს პლაზუზე უკვე ტევა არ არის. თოთქმის ერთმანეთზე მიბჯენილები წვანან ათასი ჯურის დამსვენებლები და ადგილობრივები. მათ გარტემოცვაში ვწევარ, ეს თოთქოს უცხო ირტულია თუ უტექმელა აუცილებლობა, ნიმუერა იცვლება კადრით: ორმოცდაათიოდე წლის მერე ასეთივე სიმჭიდროვეში ვინცვები ამ, ან სხვა ადამიანებთან ერთად და ასევე გულგრილად ჩამოილვრება მზის შუქი ქვებზე, კვიპაროსზე, ხრებზე თუ ქვეთ მოკირნყლულ ბილიკებზე. და უცრად ვევდები, რომ სხვები ამაზე საერთოდ არ ფიქრობენ, მარტო მე ვფიქრობ და არ უნდა ვიფიქრო. ცის ლაჟვარდში კი კატერს გამოიმულა პარაშუტი მიქრის, მაგრამ კატერს ძრავა ეთიშება და პარაშუტში თავშერგული კაცი წელ-წელა ეშვება ტალღებზე.

ქალაქში გავდივარ და მარტო ვხეტია-
ლობ. მთელი ქალაქი ერთი გრძელი ქუ-
ჩაა, სადაც საკმაოდ ინტენსიურად
მოძრაობები მანქანები. რატომდაც ქობუ-
ლეთის სახლის დიასახლისა მასენდება,
რომელსაც მეგი ჰქვია. მასენდება
სამოციანი წლების ერთი სიმღერა — „ამ-
ბობენ, რომ მეგი, მიაგვეხარო ზღვას“ —
და მეცინება. მეგი ხორცსავსეა, დიდრო-
ნი მკერდი და ცივი ცისფერი თვალები
აქვს. „ზღვის ცხოველი“ — ვფიქრობ
ჩემთვის და კიდევ უფრო მეტად მეცინე-
ბი კუთხის უდინებელი გადასასვლელი.
და ამამები დაღისით დამს
ვენებლები და ადგილობრივი მაცხოვრე
ბლები მშვიდად წვანან პლიაზზე, მზე
ეფიცხებიან და ხმამაღლა საუბრობენ
ღამით კი თითქოს მათივე ქვეცნობიერი
დან მიჩქმალული ქვენა გნებები ამოდი
ზედაპირზე და შფოთი ისადგურებს სანა-
პიროზე ჩამონილილ წყვდიადში.

ქობულეთურ სახლებში ყველაზე მეტად რიკულებიანი კიბეები და ეზოები მომწონს. განსაკუთრებით მიზიდავს კიბის ქვეშ ან სახლის განაპირა მხარეს შემყუდროებული სივრცე. აქ სოხანგზე სუბტონპიკული მცენარეებისაგან აძრულ ბინდ-ბუნდში წაგრძელებულ მაგიდას დაგამნენ. საღამოთი სუფრა იშლება, საღილებენ. ალბათ ეს სიმყუდროვე მაგონებს ბავშვობას, რომელიც თითქოს სხვა ცხოვრებაში იყო. მაგრამ ნუთუ მართლა იყო? მე ვგულისხმობ ბავშვობის ზღვისპირეთისეულ ფრაგმენტებს, საიდანაც თითქოს არაფერი არ მახსენდება. მხოლოდ ეზოების ეს შემყუდროებული სივრცე და თლილი რიკულები აღმინდავს შინაურულ განცდას, რაც მაფიქრებინებს, რომ ოდესაბაც მე აჯ ნამდვილად ვიყავი, ვიყავი სრულიად სხვა ადამიანებთან ერთად და ახლა ჩამოვედი აგრეთვე სხვა ადამიანებთან ერთად, რომელიც მაშინ ჩემს ცხოვრებაში არ არსებობდნენ ან საერთოდ არ არსებოდნენ. ახლა კი თვითონ მიას სხვა არ

თომ ძეც სხვა ვარ.
ლორთქიფანიძე მხვდება, ეს ჩემი ერთადერთი ნაცნობია, რომელიც ქობულეთში ვნახე. „ნავიდეთ, ბათუმური ლუდი დავლიოთ“, — შთავაზობს ის და ახლა უკვე სანაპიროსკენ მივეხეტებით. ლორთქიფანიძე შილიფად არის გამოწყობილი, მუხლებზე ოდნავ გადმოშვებული შარვალი აცვია. მას სადგურის მიდამოებში აქცს ნაქირავები ბინა და ჰყვება, რომ ღამე იქცა ჩხუბი იყო. „რა ვიცი, ბიჭი, ეს აქაურები ნამეტანი გამეტებით ურტყაყმდნენ ერთმანეთს, მერე ისეთი კაკაფონია იდგა, გათენებამდე არ დამეტინა“.

ნაბიჯების ხმა აღარ აღწევს. მხოლოდ მა-
ლალი პატარა შრიადლებს ბეჭელ სიცრცეში.
მერე თითქოს შრიადლი ქვემოთაც ჩამოდის
და ნერვულად მიუკვება სანაპიროს. თან-
დათან სიუცხვოებს გრძენობა მეუფლება და
მინდა, რომ სასწრაფოდ მოვისრობა აქაუ-
ნის მიერ და მის მიერ და მის მიერ

ରୋବାସ. ଏରତାଦେଗରିଟି, ରାତ୍ରି ମାମିଶ୍ଵିଦୀଶ୍ଵର, ଶମର୍ସ, ବାତୁମିଲି କମରତ୍ରିଶି ଗାହିରେବୁଲି ଗ୍ରେମିଯା, ରମମେଲିଉ ତେତରାଫ ମନ୍ଦିମିତ୍ରିମ୍ବି ନେରତିଲାଦ ଅନତିର ଦା ଥିଲାପାଶିଉ ତେତର ଅନାର୍କେଲ୍ସ ଆଫ୍ରେନ୍ସ. ଗ୍ରେନ୍ଡେବ୍ ଅଥ ଉଚ୍ଚବ୍ରନ୍ ଅଧିଲ୍ସ ଦା ଉକାନ ନେଲି ନାବିଜିତ ପଢ଼ରୁଣ୍ଡେବ୍ବା. ନାଶ୍ଵାଳାମ୍ଭେଶ୍ସ ଦୁଲଙ୍ଘାରଣ୍ଝେ କାତ୍ରିଶ୍ଵିଲି ଲାଦାର କ୍ଷାତ୍ରାନ୍ଧେବ୍ ଦା ସାନାକିରଣ୍ସ ଗ୍ରେନ୍ଲେବ୍ଦାଥ୍ୟ କ୍ଷାତ୍ରାନ୍ଧେନିଲ୍ୟ ଲୁରାନାଟ୍ରାମ୍ଭେବ୍ବିଟ ଅର୍କି ଗାନାତ୍ର୍ୟ ଦୁଲ୍ୟାର୍. ଉପ୍ପରୁଥିବ୍ ସାନାକିରଣ୍ସ ଗାଲିଶ୍ଵରିଓ ଗାନ୍ଦିଲାଗ୍ବୁର୍ବାଦ ଉଚ୍ଚବ୍ରନ୍ ଏଠିନ୍ଦେବ୍ ଦା ଉଚ୍ଚବ୍ରନ୍ ସାବ୍ଲେବ୍ସ, ରମମେଲିତା ନୋଲିଶ୍ଵି ହାମିରିଥିମି ଅର ଇମିଲି, ଉପ୍ପରୁଥିବ୍ ଦା ଉପ୍ପିକିରନ୍ଦ, କାରାଗ୍ରି ଇକ୍ଟାବ୍ ଦା, ଏକାତ୍ମରନ୍ଦାବ ସନ୍ଦର୍ଭାତ୍ମା ମର୍ମପିଲିଧ୍ୟ, ରାଧଗାନ ଏକ, ଖଲ୍ବିତ ସିବାକଲିଗ୍ରେବ୍, ରାଧାତ୍ରି ସିମାବିନ୍ଦିକ୍ଷାଏ ଫ୍ରେବିମ୍ବିଶ୍ଵିଦେବୁଲି. ଧରିଲିଶିଟ ଅମିଶ୍ଵରେବୁଲି ସାନାକିରଣ୍ସ ଅମିଶ୍ଵରୁଥିବ୍ ତାଙ୍ଗିନିତ ସବ୍ୟଲ୍ଲେବ୍ସ. ଇମିନ୍ ଏରତାଦ ନ୍ତଵାନାନ ଦା ଥିଲାଗିଲି କିରିଶିପିର ଏସ ଏରତାଫ ଯନ୍ତ୍ରିନାତ୍ମ ତାଙ୍ଗିଶେବୁର୍ବାରି ରିକିତ୍ରାଲିଯା, ରମମେଲିଉ ଯନ୍ତ୍ରିଶେବୁର୍ବାରି ମେନ୍ଟରାଇଞ୍ଚାରମାରାଲିଯା ଇଲାଗ୍ବା,

როგორც ყველაფერი ამქვეყნად. ძალიან ახლოს წვანან დამსვენებლები პლიაზტე ერთმანეთთან, ძალიან ახლოს, თითქმის ეჭვინებინ ერთმანეთს ქალები, კაცები, ბავშვები. ეს სხეულები ერთმანეთშია ჩახლართული და ჩანწერილი და შორიდან, ზღვაში გასული გემიდან თუ გადმოხედავ სანაპიროს, ერთ მთლიან მასას დაინახავ. ეს მთლიანი მასა თითქოს ნელა მოძრაობს, ნელა ივსება და იწრიტება, მერე ისევ ივსება და იწრიტება, საღამოს პირზე კი ფორმას კარგავს და მერე თანდათან ქრება. ქრება, რადგანაც უკვე დამის ცხოვრება იწყება, კაფე-ბარებიდან გამაყრულებელი ხმაური ისმის. ძნელია, ეს ხმაური მელოდიად მიიჩნიო, მაგრამ ამ ხმაურის რიტმსაყოლილი მოცეკვავები, ეჭვგარეშეა, ხმაურს მუსიკად ალიქვამენ და თავდავინწყებულები ტრიალებენ საცეკვაო მოედანზე. აჭარულ ცეკვებს სომხური მოტივები ენაცვლება, დამსვენებლები ბარის შესასვლელთან დგანან და ამ უაზრო ვაკებანალიას უყურებენ. მერე კი, უკვე ნაშუალამეცს სანაპირო ზღვას ერწყმის და ყრუ უდაბნოდ იქცევა. ამ უდაბნოს დროდადრო მშფოთვარე გადაძახილები, ქვიშაში გაქცეული ადამიანების ხმაურიანი ნაბიჯები, ისტერიული გინება და სასორნარკვეთილი გმინვა სერავს. ეს ღამის ხმებია, ზღვის სანაპიროზე გაშლილი და გაფანტული, ავისმომასწავებელი ან უკვე სულისმდრაფავი და ავადახდენილი. გათენებისას კი ყველაზე უფრო მძაფრი ვწებათალელვაც ქრება და ინდიფერენციული, მთვლემარე და ყველაფრისადმი განურჩეველი სიჩუმე ისადგურებს. ახლაც ეს დრო ახლოვდება, აღმოსავლეთით ოდნავ იცრიცება მტრედისფრად ცა. მე ნელა ვპრუნდები ჩვენს ნაქირავებ ბინაში, სადაც ყველას ღრმა ძილით სძინავს და ფანჯრიდან შემოჭრილი ელნათურის სინათლე ტოკავს ოთახის ყრუ კედელზე. „სად არიან ახლა ის გაქცეულები, იქნებ კიდევ მირბიან და სულ ასე ირტენენ ბათუმის პორტამდე“, — ვფიქრობ ჩემთვის და დაწოლესთანავე მეძინება.

ეს ქალაქი უკვე სხვა რიტმით ცხოვრობს, უცხო ხალხი ირევა და უცხო ელფერი ადევს. მეტ გავუცხოვდი საკუთარი თავისგან და თუმცა ვცდილობ წარსულთან შეხმიანებას, ვატყობ, რომ სულ ოდნავდა ვახერხებ ამას.

ამ ქალაქში ძველებური მხოლოდ პალმებია და მე უკვე კეთხვები ამ პალმებს, რომლებიც სიბრნელეში აღარ ჩანან, მატარებელი მიდის ნელა, ნელა მიიღწევა, წყვდიადია, აქა-იქ გაკვესილი თუ გაელვებული სინათლე საბრნელეს ნაუცბათევ სურათებს სტაცებს: ცეცხლთან მარტოხელა მუშა ტრიალებს, ალბათ შედუღებას თუ მორჩა, დღიურისამუშაო თუ გაასრულა და საამქროსკენ ეზიდება მთელი დღის ნაჯახირევ იარაღებს. სხვაგან დაფხავებული სახლის ცარიელი ერდო გაიფრიალებს, სადაც უკვე დიდი ხანია ფეხი არავის დაუდგამს და კიბეს ხავის მოსდებია. ქალაქის განაპირას შემთხვევით გზადშეყრილ მოხეტიალეთაგან ერთი სანთებელას უმარჯვებს მეორეს, ამ უკანასკნელის სახე ნახევრად ბრუნდება მატარებლისაკენ, თითქოს სცენა ტრიალებსა და მერე თანდათან წყვდიადის იარობა ასაკია.

კვალდა კერძა ქრება. ქალაქის განაპირო ხედი კიდევ ერთხ-
ელ გაიღვებს კვიპაროსების სილუეტებ-
ის ფონზე და მერე ყველაფერი ქრება, წყვ-
დიადი ნთეას ყველაფერს. მე მეჩვენება, რომ მატარებელი გვირაბში შევიდა, მა-
გრა ამ ქვეშეცნეულად იმასაც ვგრძნობ, რომ ეს მხოლოდ მოჩვენებაა და თალის-
ფრად ამოგმანულ ფანჯარას ვაბჯენ მზ-
ერას. უკევ სინათლის მისხალიც არ ჭია-
ტობს არსაიდან და მიკვირს, რამ ჩამოაბ-
ნელა ქვეყნიერება, მიკვირს და მსიამ-
ოვნებს, რომ ჩვენ განათებულ კუპეში
ვსხედვართ და ჩაბეჭებული მინდვრებ-
ის გასწვრივ მივქრივართ.

უკან რჩება ქობულეთი და არა მარტო ქობულეთი, არამედ ის, რაც უკვე იყო; რჩება ბათუმის შორეული პორტი და ლამეგებში ზღვაში არეკლილი თეთრად განათებული გემი. ამ ქალაქში ძველებური მხოლოდ პალმებია და სხვა დანარჩენი ახალია ყველაფერი. და რიკულები, რიკულებია კიდევ ძველი; განიერ, მასიურ კიბეთა რიკულები. ეს რიკულები მიღვიძებს გარდასულის, სამუდამოდ დაკარგულის და გაუჩინარებულის მბჯუტავ სხვონას, ბავშვობას ველარ შეეხები, შინ ვერ დაბრუნდები, რადგან ეს „მინ“ აღარსად აღარ არის უკვე.

სხეულში და ასოციაციაც ქრება.
დაძინებამდე დროს ვითანგრძლივებ.
დილით უკვე თბილისში უნდა ვიყოთ. ფან-
ჯარაში ისევ სრული წყვდიადია. თუმცა
იმ ძველ ქალაქს ვერ მივგაგნი, მაინც ვიცი,
სად ვიყავი და საიდან მოვდივარ, მაგრამ
ახლა სად ვარ და საით მივდივარ, ამის
გაგება მიჭირს, რადგან ფანჯრიდან მხ-
ოლოდ რამდენიმე განათებული წერტილი
მოჩანს. არადა, მატარებელი მანც მიდის,



ბააღურ ნულაძე:

„ისეთი მწარლები მიყვარს, რომელებიც
ჩვეთვის რაღაც ახალს ხსნიან“

პიროვნება უნდა იყო, არავის გავდეო... თვითონაც ასეთია – ბააღურ წულაძე არავის გავს. შეუძლებელია ნახო „ქორწილი“ „არ დაიდარდო“, „სამი სასიძო“, „ნიძლავი“ თუ „პეპელა“, „ოცდაშვიდი დაკარგული კოცნა“ თუ „მოცურავე“ და კიდევ მრავალი სხვა ფილმი მისი მონანილეობით და მეხსიერებაში არ ჩაგრჩეს იმ პერსონაუების სახეები, ამ ხელოვანმა რომ შექმნა ბააღურ წულაძის მიერ განსახიერებული თუნდაც ეპიზოდური როლები ინდივიდუალიზმის იმგვარ ბეჭედს ატარებს, კინოსურათს იმდენად აფერადებს და ავსებს, რომ მათ გარეშე ფილმი, ალბათ, ულიმდამო, არასრული იქნებოდა. ასზე მეტი როლი აქვთ შესრულებული. არანაკლებ შთამბეჭდავია მის მიერ შექმნილი ფილმები. სრულიად საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სარეკილო ფაკულტეტის ნარჩინებით დამთავრების შემდეგ, ალექსანდრე დოვფენკოსა და მიხეილ ჭიათურელის მონაფეს ხელობა რომ სრულყოფილად ეცოდინებოდა, გასაკვირი არცა. მის ფილმებს არაერთი სხვა რეკილორის ნამუშევრის გან გამოარჩევ, რადგან მათში ის ნაპერწკალია, პროფესიონალიზმისა და ნიჭის გადაკვეთისას რომ ნარმონიშვება ხოლმე ასეთია „ფეოლა“, „შესვენება“, „ვალსი მთანმინდაზე“, „გრძადიატორი“, „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის“... ბააღურ წულაძე ძალიან საინტერესო მოსაუბრება. კინოზე, მუსიკაზე, ფიზიკასა თუ რელიგიაზე ერთნაირი მონძომებით და რაც მთავარია, ცოდნით საუბრობს. თუმცა ლიტერატურა მისი უპირველეს სიყვარულია. ამბობს, რამდენად ნიჭიერი რეჟისორი, ან მსახიობი ვარ, ვერ გეტყვით, მაგრამ ნიჭიერი მკითხველი, მომხმარებელი რომ ვარ, ამაზე თავს დავდებო...

— მკიოთხველად ადამიანი ბავშვობიდან ყალბიბდება. დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ ლიტერატურულ გარე-მოში იზრდება იგი. ბატონი ბააღურ, თქვენს ოჯახში რა ადგილი ეკავანიგნს?

— ამბობენ, წიგნის სიყვარულში
ბაბუას — ლავრენტი წულაძეს ვგავარ.
თუმცა რელიგიური ხასიათის ერთ-ერთ
პუბლიკაციაში ამოვიკითხე, რომ ჩემს
დიდ ბაბუას, ივანე წულაძეს, წიგნი კიდევ
უფრო მეტად ყვარებია. ორივე მათგანი
სასულიერო პირი იყო. ბაბუაჩემი, გარ-
და სამღვდელო სამსახურისა, სკოლაში
ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავ-
ლიდა. ამასთანავე, გაზეთ „ივერიაში“
საკუთარ ლექსებსა და რელიგიურ თუ-
სერო თემატიკის წერილებს აქვეყნებდა.
იმ დროისთვის საკმაოდ განათლებულ
კაცად ითვლებოდა. იცნობდა ილია ჭავ-
ჭავაძეს, ვაჟა ფშაველას. ახლაც მაქევს
სათუთუნე, რომელიც ვაჟამ აჩუქა.
ბაბუაჩემის ივახახი სოფელ ჭანჭარში ცხ-
ოვრობდა. მის უშველებელ ბიბლიოთეკა-
ში არამარტო ქართული, არამედ პეტერ-
ბურგიდან გამოწერილი უამრავი რუსუ-
ლი წიგნი და პერიოდული გამოცემი ინ-
ახებოდა. გასული საუკუნის 20-ანა წლებ-
ში მოკლეს — ანაფორა არ გაიხადა,
ღვთისმსახურებაზე უარი არ თქვა და
კომეკშირელები დაუხვდნენ... უნი-
კალური ხის ეკლესია, რომელშიც მსახ-
